

## აფიქსოიდთა სიტყვაწარმოებითი ფუნქციები ტერმინოლოგიაში

მეცნიერებისა და ტექნიკის ენაში განსაკუთრებული ინტენსიურობით ვლინდება აფიქსოიდური სიტყვაწარმოება, რომელსაც ექსტრალინგვისტური ფაქტორები განაპირობებს. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი, საერთაშორისო კავშირების გაფართოება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ენაზე. ძლიერდება სესხების პროცესი არა მარტო ლექსიკური ერთეულებისა, არამედ სიტყვაწარმოებითი საშუალებებისაც. ინტერნაციონალიზაციისაკენ სწრაფვა კიდევ უფრო უწყობს ხელს მსოფლიოს სხვადასხვა ენისათვის საერთო ტერმინების, ე. წ. ინტერნაციონალიზმების შექმნას. უცხო წარმომავლობის ინტერნაციონალური ტერმინები მრავალ ენაში დასტურდება.

მათი მორფოლოგიური დანაწევრებისას გამოიყოფა ძირები და დერივაციული აფიქსები, რომლებსაც მნიშვნელოვანი საკლასიფიკაციო ფუნქცია ენიჭება და წარმოქმნის ერთი და იმავე მნიშვნელობის სემანტიკურ ჯგუფებს. სპეციალურ ლიტერატურაში მათ ზოგადად *ტერმინელემენტებს* უწოდებენ. ტერმინელემენტი შეიძლება იყოს: 1) წმინდა აფიქსური წარმოშობის: *-ada, -ადა* (*ბრიგ-ადა-ა*), *-ex, -ექს* (*რეფლ-ექს-ი, კომპლ-ექს-ი*), *-od, -ოდ* (*კათ-ოდ-ი, ელექტრ-ოდ-ი*), *-ose, -ოზა* (*ვისკ-ოზა, ნიტრ-ოზა*); 2) სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ფუძე, რომელიც რთული სიტყვის შემადგენელი კომპონენტია: **მიკრო-**: *მიკროფონი, მიკროსტრუქტურა, მიკროსურათი*, **ავტო-**: *ავტოკოლონა, ავტორეგულირება, ავტოტუმბო* და სხვა.

აფიქსოიდური წარმოება წმინდა ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებითი საშუალებაა, რომელიც ინტენსიურად გამოიყენება ტერმინთა საწარმოებლად, ამიტომაც მისი სპეციალური შესწავლა მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალურ საკითხთაგანია.

აფიქსოიდები არაერთი ენათმეცნიერის კვლევის საგანი ყო-

ვილა. როგნედა ღამბაშიძე თავის მონოგრაფიაში ვრცლად განიხილავს აფიქსოიდების ისტორიას, მის ტიპებს, ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში განსაკუთრებული სიხშირით გამოყენებულ აფიქსოიდებს, მათ ქართულ ეკვივალენტებს (ღამბაშიძე 1986: 142-163). სამეცნიერო ლიტერატურაში აფიქსოიდების წარმომავლობისა და ფუნქციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგი მეცნიერი აფიქსოიდებს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებად მიიჩნევს (Григорьев 1959: 70-71), ზოგი კი – სიტყვის მაწარმოებელ აფიქსად, რომელსაც დაკარგული აქვს თავდაპირველი მნიშვნელობა (Потиха 1979: 137-139). არსებობს ვარაუდი, რომ ეს არის ერთგვარი გარდამავალი ჯგუფი რთულ და ნაწარმოებ სიტყვებს შორის (Шанский 1959: 276). მათ უწოდებენ *ნახევრად აფიქსებს* (Степанова, Фляшер 1979: 152), *აფიქსოიდებს* (Шанский 1959: 257), *სუბაფიქსებს* (Малинин 1973: 52-53). ჩვენი აზრით, ტერმინი *აფიქსოიდი* უკეთ გამოხატავს ამგვარი სიტყვამაწარმოებელი ძირების არსს: აფიქსოიდი (*აფიქსი+იდიოს*), ნიშნავს აფიქსის მსგავსს.

ცნობილია, რომ *აფიქსოიდი* ბერძნულ-ლათინური წარმოშობისაა და თანამედროვე ენაში სტრუქტურული ელემენტების სახით მკვიდრდება. ის რეგულარულად მეორდება ერთი და იმავე მნიშვნელობით რთული შედგენილობის სიტყვებში, ქმნის გარკვეულ ტერმინოლოგიურ ყალიბებს და ფუნქციურად აფიქსს უახლოვდება.

ტერმინოლოგიური მასალის ანალიზმა გამოავლინა, რომ კომპოზიცია ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა უცხოენოვან ტერმინთა საწარმოებლად, მათ შორის უდიდესი წილი მოდის აფიქსოიდურ სიტყვაწარმოებაზე.

აფიქსოიდები წყარო ენაში დამოუკიდებელი, სრულმნიშვნელოვანი სიტყვებია. მათ შენარჩუნებული აქვთ სემანტიკა, რომელიც მასესხებელ ენაში ჰქონდათ: მაგ., *პკობეო* = მეშინია, აქედან – სუფიქსოიდი *-გობოა* (შიში რისამე მიმართ), *skopeo* = ვუყურებ, სუფიქსოიდი *სკოპი* ან *სკოპია* (დაკვირვება ან დაკვირვებისათვის საჭირო ხელსაწყო) და სხვ. აფიქსოიდები მეტყველების სხვადასხვა ნაწილისაგან იწარმოება. მაგალითად, არსებითი სახელი *logos* – სიტყვა, *gramma* – ჩანაწერი... ზედსართავი სახელი *mikros* – პატარა, *thermos* – თბილი... ზმნისართები: *para-*

-თან, თანა-, ახლოს; **hipo** – ქვეშ, ქვევით, **anti** – ნაცვლად, წინა-აღმდეგ და ა. შ. ტერმინად ქცევისას ისინი კარგავენ მეტყველების ნაწილების ფუნქციას, ზოგჯერ სემანტიკურად გადაიაზრებიან, იქცევიან რთულ სიტყვათა ელემენტებად და განსაკუთრებულ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას იძენენ.

აფიქსოიდებს სამეცნიერო ენაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ. ისინი ტერმინის სემანტიკურ გამჭვირვალობასა და მოტივირებულობას განსაზღვრავენ. სალიტერატურო ენაში არსებული სიტყვათა პოლისემიურობა, რომელიც ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა, არღვევს ტერმინსა და ცნებას შორის ცალსახა დამოკიდებულებას, მის მონოსემიურობას. ტერმინოლოგიურ სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მჭიდრო კავშირს ტერმინის სემანტიკასა და მის სიტყვამაწარმოებელ სტრუქტურას შორის. აფიქსოიდებით, სწორედ ასეთი, ცნებისათვის ზედმიწევნით შესატყვისი ტერმინები იქმნება. მათი საშუალებით შესაძლებელია კონკრეტული სემანტიკური მოდელების შექმნა თვისებების, პროცესების, საზომი ხელსაწყოების, სიდიდეების კატეგორიების ცნებებისათვის. მაგალითად, სიდიდეების საზომ ხელსაწყოთა ცნებების აღსანიშნავად სუფიქსოიდი **-მეტრი** გამოიყენება: *აქსინომეტრი, ამპერმეტრი, ვიბრომეტრი*, დაკვირვებისათვის საჭირო ხელსაწყოთა ასაგებად იყენებენ სუფიქსოიდ **-სკოპს**: *ვიროსკოპი, დეფექტოსკოპი, ლარინგოსკოპი, მიკროსკოპი...*

ასეთი ტერმინები უფრო ზუსტად და მოკლედ გადმოსცემენ ინფორმაციას აღნიშნული ცნების შესახებ. ისინი ადვილად ერწყმიან ერთმანეთს, კარგად ეგუებიან მსესხებელი ენის მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ ყალიბებს, ადვილად ექვემდებარებიან ტერმინთა წარმოქმნის შემდგომ პროცესს, დაირთავენ პრეფიქსებსა თუ სუფიქსებს: *რადიოლოკაცია – სარადიოლოკაციო, პოლიგრაფია – პოლიგრაფიული, პიროგრაფი – პიროგრაფიული*. თვალში საცემია აფიქსოიდიანი ტერმინების ხელოვნურობა. ამაზე მიუთითებს ერთ ფუძეში ბერძნულ-ლათინური ან რომელიმე სხვა ენის ძირების მონაცვლეობა. ასეთი „ჰიბრიდული“ ტერმინები უხვად არის წარმოდგენილი ბიოლოგიის, მედიცინისა და ტექნიკური დარგების ტერმინოლოგიაში: **პოლიგლობულია** (ბერძნ. პოლი = მრავალ- + ლათ. გლობულუს = ბურთულა),

**პოლიმეტალი** (ბერძნ. პოლი = მრავალ- + ლათ. მეტალუმ = ლითონი), **პოლიკროსი** (ბერძნ. პოლი + ინგ. კროსს), მცენარეთა შეჯვარების ერთ-ერთი მეთოდი.

მეცნიერები გამოყოფენ ცნების არსებით ნიშან-თვისებებს და უსადაგებენ მას ბერძნულ ან ლათინურ ძირებს. სამეცნიერო ენაში ეს მეთოდი ცნობილია ე. წ. „უკუკალკირების“ (Обратное калькирование) სახელწოდებით. ასე შეიქმნა ბიოლოგიაში იმ დროისათვის ახალი ტერმინი „ფაგოციტი“. ცნების აღსანიშნავად მოიძებნა შესიტყვება „მოანმოქმელი უჯრედი“ (поедающая клетка), შემდეგ მას მიუსადაგეს ბერძნული ძირები *phago* (= ვჭამ, ვმანთავ) და *kytos* (უჯრედი), რომლებიც ერთ რთულ სიტყვად გაერთიანდა. (Григорьев 1959: 79). სულ ახლახან ოკეანოლოგიაში შეიქმნა ტერმინი „რაგიანავტიკა“ აფიქსოიდ „რაგიას“ გამოყენებით. (რაგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წყლის დინებას, *nautēs* – მეზღვაურს). **რაგიანავტიკა** ანუ **რაგიანაოსნობა** მეცნიერებაა, რომელიც აერთიანებს ტექნიკის სხვადასხვა დარგს ოკეანეების შესასწავლად. მისი მამოძრავებელი ძალა წყლის კინეტიკური ენერგიაა. ამავე ძირით არის ნაწარმოები ასევე ტერმინები: **რაგიაკარი**, **რაგიაპლანი** და სხვ.<sup>1</sup>

ყველა ბერძნულ-ლათინური ტერმინელემენტი შეიძლება პირობითად დავაჯგუფოთ უნივერსალურ და ვიწროდარგობრივ აფიქსოიდებად. უნივერსალური აფიქსოიდები მრავალ ტერმინოლოგიურ სისტემაში ფუნქციონირებს, ვიწროდარგობრივი კი ერთ კონკრეტულ ან მის მომიჯნავე დარგებში გამოიყენება. უნივერსალური აფიქსოიდებია: **მიკრო-**, **მაკრო-**, **ჰიპო-**, **ჰიპერ-**, **ორთო-**, **აგ-**, **ტო-**, **პოლი-** და მრავალი სხვა. ვიწროდარგობრივი აფიქსოიდებია, მაგალითად, მედიცინაში: **ერითრო-**, **თრომბო-**, **კარდიო-**, **ლარინგო-**, **ცერებრო-** და მისთ. ბიოლოგიაში: **ბიო-**, **ენტო-**, **ზოო-**, **იქთიო-**, **ორთინო-**, **კარიო-** და სხვ.

საანალიზოდ შევუდარეთ ერთმანეთს ტექნიკური დარგების, სამედიცინო და ბიოლოგიურ ტერმინოლოგიებში გამოყენებული უნივერსალური ფუნქციის მქონე პრეფიქსოიდები (ანუ პრეპოზიციური ელემენტები), მათი ფუნქციონირების, სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების დასადგენად.

<sup>1</sup> www.raguanavtika.narod.ru

იმის მიხედვით, თუ სად დაერთვის აფიქსოიდი სიტყვას – თავში თუ ბოლოში, მათ ყოფენ პრეფიქსოიდებად და სუფიქსოიდებად. ზოგ აფიქსოიდს, ორივეს – პრეფიქსოიდისა და სუფიქსოიდის ფუნქცია აკისრია. მაგალითად, აფიქსოიდს „**ლითი**“ ან „**ლითო**“ (ბერძნულად ნიშნავს ქვას) შეიძლება ჰქონდეს სუფიქსოიდის ფუნქცია (*ოსტეოლითი, ქრიზოლითი*) და ასევე პრეფიქსოიდისაც (*ლითოგრაფია, ლითოლოგია, ლითოლიზი..*). მათი ფორმოზომები სხავობა (აუსლაუტში ი/ო ხმოვნები) განაპირობებს მათსავე პოზიციას ნაწამოებ სიტყვებში.

ბერძნულ-ლათინურ აფიქსოიდებთან ერთად ხშირად ქართულ ენაში გაჩენილი სემანტიკურად იდენტური მნიშვნელობის მქონე ელემენტები ფუნქციონირებს. მაგალითად:

პრეფიქსოიდი **აერო-** მომდინარეობს ბერძნული *აერ-*იდან: ტექნიკურ დარგებში ერთვის ძირითადად უცხოურ ფუძეებს: **აეროდინამიკა, აეროგაზდინამიკა, აეროდრომი, აეროგელი, აერო-თერმოგრაფი, და სხვ.**

ტექნიკურ დარგებში აფიქსოიდ **აეროსთან** ერთად ძალზე ხშირად იხმარება მისი ქართული ფარდი **ჰაერ-**, რომელიც დაერთვის მხოლოდ ქართულ ფუძეებს: **ჰაერმაცივარი, ჰაერმანაწილებელი, ჰაერმედევი, ჰაერმიმღები, ჰაერსაბერი** და სხვ.

სამედიცინო ტერმინოლოგიაში: **აეროგენული, აეროზოლი, აეროზოლოთერაპია, აეროოტიტი, აეროფაგია** და სხვ.

ბიოლოგიის ტერმინოლოგიაში: **აერობი, აერენქიმა, აერობიონიტი, აეროპლანქტონი, აეროპონიკა, აეროსფერო, აეროფიტი** და სხვ.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაში პროდუქტიულია როგორც ინტერნაციონალური, ისე ქართული ძირები. ისინი ერთნაირი სიხშირით გამოიყენება. სამედიცინო და ბიოლოგიის ტერმინოლოგიებში პროდუქტიულია მხოლოდ ბერძნული ძირი.

პრეფიქსოიდი **იზო-** მომდინარეობს ბერძნული *isos-*ისაგან (= თანაბარი, ერთგვარი). აღნიშნავს თანაბარს, ფორმით ან დანიშნულებით მსგავსს. ტექნიკურ დარგებში ძირითადად ერწყმის უცხო ფუძეებს: **იზოპათი, იზოგონი, იზომეტრია, იზოტონია, იზოჰიფსა** და სხვ. იშვიათად ერწყმის ქართულ ფუძეს, ასეთი შეიძლება თითო-ორჯერ მაგალითი დაიძებნოს: **იზოერბომეჟავა, იზოხაზი**. მისი ქართული ფარდია **თანაბარ-**, რომელიც ერთვის

მხოლოდ ქართულ ფუძეებს: **თანაბარბრუნვითი, თანაბარგამძლე, თანაბარმოძრავი...**

სამედიცინო ტერმინოლოგიაში: **იზოდინამია, იზოკორია, იზომერია, იზომეტროპია, იზოტონიური** და სხვ.

ბიოლოგიის ტერმინოლოგიაში: **იზოგამია, იზოგამეტები, იზომერია, იზომორფული, იზოქრომული** და სხვ.

პრეფიქსოიდი **პოლი-** მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან ***poly***, რომელიც ნიშნავს „ბევრს“, „მრავალრიცხოვანს“. ტექნიკურ დარგებში დაერთვის მხოლოდ უცხო ძირებს: **პოლიგონი, პოლიგონომეტრია, პოლიეთილენი, პოლივერბალი, პოლითიონი**. ბერძნულ-ლათინური ძირების გვერდით გვხვდება ასევე ამ ელემენტის ქართული ეკვივალენტი, მრავლობითობის აღმნიშვნელი სახელისაგან ნაწარმოები **მრავალ-**. ის დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხო ფუძეებს: **მრავალწვერი, მრავალხერხი, მრავალციკლური, მრავალსემენტიანი, მრავალრეზონატორიანი**.

სამედიცინო ტერმინოლოგიაში: **პოლიადენიტი, პოლიართრიტი, პოლიგალაქტია, პოლიგლობულია, პოლიდიფსია...**

ბიოლოგიის ტერმინოლოგიაში: **პოლიანდრია, პოლიგამია, პოლიგენიზმი, პოლიკარპული, პოლისპერმია...**

სამედიცინო და ბიოლოგიის ტერმინოლოგიებში მხოლოდ ბერძნული ძირი გამოიყენება, ტექნიკურ დარგებში ერთნაირი სიხშირით გამოიყენება როგორც ბერძნული, ისე მისი ქართული ფარდი.

პრეფიქსოიდი **ენდო-** მომდინარეობს ბერძნ. ***ენდონ-***ისაგან (= შიგნით, შიგ). ტექნიკურ დარგებში დაერთვის მხოლოდ უცხო ფუძეებს: **ენდოდინამიკური, ენდოვიბრატორი, ენდოთერმული, ენდოკლივაჟი, ენდოკონტაქტი...**

ბერძნულ-ლათინურ ძირთან ერთად იხმარება მისი ფარდი, აფიქსოიდად ქვეული ზმნიზედა **შიგა-**. ის დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხო ფუძეებს: **შიგასამოსი, შიგასახეხი, შიგამოძრაობა. შიგატომური, შიგაგრანულური, შიგადინამიკური, შიგამარცვლოვანი**. ამათაგან უფრო პროდუქტიულია ქართული აფიქსოიდი.

ბიოლოგიისა და მედიცინის ტერმინოლოგიებში პროდუქტიულია უცხო წარმომავლობის აფიქსოიდი **ენდო-**

სამედიცინო ტერმინოლოგიაში: **ენდოკრინოლოგია, ენდო-**

გენური, **ენდოლიმფა**, **ენდომეტრიოზი**...

ბიოლოგიის ტერმინოლოგიაში: **ენდოლიმა**, **ენდომიტოზი**, **ენდოპარაზიტები**, **ენდოპლაზმა**...

პრეფიქსოიდი **ფოტო-** მომდინარეობს ბერძნული *φωτος*-ისაგან (= სინათლე). აღნიშნავს რისამე შესრულებას სინათლის, შუქის საშუალებით. ტექნიკურ დარგებში დაერთვის როგორც უცხოურ, ისე ქართულ ფუძეებს: **ფოტოდიოდი**, **ფოტობატარეა**, **ფოტობლოკი**, **ფოტოაგეგმა**, **ფოტოგადაღება**, **ფოტოგეგმა**, **ფოტო-დამუშავება**. მისი ქართული ფარდია **შუქ-**, დაერთვის ქართულ ფუძეებს: **შუქბეჭდვა**, **შუქგამყოფი**, **შუქგაბნევა**, **შუქმდეფი**.

სამედიცინო ტერმინოლოგიაში: **ფოტოთერაპია**, **ფოტორეკეპტორები**, **ფოტოფობია**, **ფოტოფსია**...

ბიოლოგიის ტერმინოლოგიაში: **ფოტოლიზი**, **ფოტონასტია**, **ფოტოსინთეზი**, **ფოტოტაქსისი**, **ფოტოტროპიზმი**...

აფიქსოიდი **ჰემი-** მომდინარეობს ბერძნული *hemi*-ისაგან და ნიშნავს ნახევარს. ტექნიკურ დარგებში მას შეესატყვისება ქართული **ნახევარ-** (რაიმე მთელის ორი თანაბარი ნაწილიდან ერთ-ერთი). ტექნიკურ დარგებში პროდუქტიულია ქართული პრეფიქსოიდი. დაერთვის უცხო და ქართულ ფუძეებს: **ნახევარ-ლიზელი**, **ნახევარვექტორი**, **ნახევარზოლი**...

სამედიცინო და ბიოლოგიის ტერმინოლოგიაში აქტიურია ბერძნული **ჰემი-**.

სამედიცინო ტერმინოლოგიაში: **ჰემილაგია**, **ჰემიატარაქსია**, **ჰემიანოფსია**, **ჰემიპარეზი**...

ბიოლოგიის ტერმინოლოგიაში: **ჰემიციკლულოზა**, **ჰემიზიგოტურობა**, **ჰემიტრიფტოფიტი**...

აფიქსოიდი **ოლიგო-** მომდინარეობს ბერძნული *oligos*-ისაგან, აღნიშნავს რაიმეს ნაკლებობას, ნორმიდან გადახრას, ტექნიკურ დარგებში შეესაბამება აფიქსოიდად ქცეული ქართული ზედსართავი სახელი *მცირე-* ან *ნაკლებ-*. ბერძნული ძირი არ არის პროდუქტიული ტექნიკურ დარგებში, სულ რამდენიმე ტერმინი თუ მოიპოვება და დაერთვის მხოლოდ უცხო ფუძეებს: **ოლიგოკლაზი**, **ოლიგოსაქარიდები**, **ოლიგოცენი**. ძალზე ხშირია ქართული ფარდების გამოყენება, რომლებიც დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხო ფუძეებს: **მცირეგაბარტიანი**, **მცირეთერმული**, **მცირეკალიბრიანი**, **მცირენაცრიანი**, **მცირეცემენტანი**; **ნა-**

**კლებ-: ნაკლებდაარმატურებული, ნაკლებპლასტიკური.**

მედიცინისა და ბიოლოგიის ტერმინოლოგიებში პროდუქტიულია ბერძნული პრეფიქსი.

სამედიცინო ტერმინოლოგიაში: **ოლიგოდაქტილია, ოლიგოდინამიკური, ოლიგომენორეა, ოლიგოპნოე...**

ბიოლოგიის ტერმინოლოგიაში მოვიძიეთ მხოლოდ ერთი ტერმინი: **ოლიგოტროფი.**

ასევე შეიძლება დავასახელოთ, **ჰიპერ-, ჰიპო-, ჰიდრო-, თერმო...** ამგვარი პრეფიქსიდეზის ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება, მათი რიცხვი ძალიან ბევრია. საანალიზო მასალაში ყველაზე მეტად ის გამოიკვეთა, რომ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ხშირად გვხვდება შერეული წარმოების ეწ. ჰიბრიდული ტერმინები: აფიქსიდი+ქართული ძირი ან პირიქით, ქართული+ბერძნული აფიქსიდი. შდრ. **ფოტოდიოდი** და **ფოტოდამუშავება; შიგაატომური** და **შიგასახეხი.** ტექნიკური ტერმინოლოგია კარგად წარმოაჩენს ბერძნულ-ლათინური ძირების ქართული ეკვივალენტებით ჩანაცვლებას. ამას ადასტურებს მათი სინონიმური წყვილები, ლექსიკური დუბლეტები: **პოლიქრომია – მრავალფერიანობა; პოლიმორფიზმი – მრავალფორმიანობა, ენდოდინამიკური – შიგადინამიკური; ჰიდროჟანგეულები – წყალჟანგეულები; თერმომდგრადი – თბომდგრადი; თერმომედეგი – თბომედეგი** და მრავალი სხვა. ბიოლოგიისა და სამედიცინო ტერმინოლოგიები თავს არიდებს ამგვარ წარმოებას (გვაქვს **ოლიგოდაქტილია, თითნაკლებობა**, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა). ამ დარგებში უფრო ხშირია რთული ტერმინების ბერძნულ-ლათინური ძირებისაგან წარმოება. ამის მიზეზი უნდა იყოს ლათინურისა და ბერძნული ენების განსაკუთრებული (ტრადიციული) ზეგავლენა ამ დარგებზე.

ენაში ზოგადად შეინიშნება რთული სიტყვების ერთ-ერთი კომპონენტის აფიქსიდად გარდაქმნის ტენდენცია. რეგულარული ხმარებისას მათი სტრუქტურა თანდათანობით იცვლება, ერთ-ერთი კომპონენტი კარგავს კონკრეტულ სემანტიკურ დატვირთვას, იძენს საერთო, ტიპურ მნიშვნელობას, რომელიც იდენტური ხდება ყველა ახლად ნაწარმოებ სიტყვაში და ფუნქციით აფიქსს უახლოვდება. სრულმნიშვნელოვან სიტყვათა აფიქსიდად გარდაქმნის პროცესი დღესაც გოცხალია. რეკლამა-



ში ხშირად ისმის *სუპერმოზი – სუპერგარანტია*. ასევე შეინიშნება სხვა, მაგალითად, ინგლისური, ფრანგული სიტყვების აფიქსოიდად გარდაქმნის ტენდენციაც. მაგალითად, **ტომ-** (ინგლ. *რისამე უმაღლესი წერტილი, მწვერვალი*): **ტომოდელი**, **ტომრეკლამა**. ასევე ფრანგულ სიტყვა *არომატს* (*aromate < aroma* ბერძნ. კეთილსურნელება) უკავშირდება: **არომაგია**, **არომათერაპია**.

აფიქსოიდურმა ძირებმა: *რადიო-*, *ფოტო-*, *ავია-*, *ექსტრა-* და სხვ. უკვე დიდი ხანია შექმნეს რეგულარული სტრუქტურული მოდელები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ უკანასკნელ ხანს წარმოქმნილი სიტყვები *მიკრო-*, *მაკრო-*, *სუპერ-* ელემენტებით, რომლებიც დეტერმინოლოგიზაციის გზით, წმინდა ტერმინოლოგიური სიბრტყიდან სამომხმარებლო სიბრტყეზე გადანაცვლებით თანამედროვე ენაში შეუზღუდავი, განუსაზღვრელი შესაძლებლობები შეიძინეს: *პოსტმოდერნიზმი*, *სუპერმარკეტი*, *ექსტრანეტი*, *მიკრომარკეტინგი*, *მეგაბრენდი...*

როდესაც აფიქსოიდების ქართულ ეკვივალენტებზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ბერძნულიდან თარგმნის ისტორიული ტრადიციები, ხანგრძლივი კონტაქტები ბერძნულსა და ქართულ კულტურებს შორის, რაც, შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ბერძნული წარმომავლობის ძირები ასე შეითვისა ქართულმა ენამ. დ. მელიქიშვილი თავის მონოგრაფიაში „ძველი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან“ აღნიშნავს, რომ ძველად მთარგმნელებისათვის „ცნების შინაარსის ზუსტად გადმოცემის ყველაზე მარჯვე და სანდო ხერხი იყო სემანტიკური და ფორმალური ტერმინოლოგიური კალკების შექმნა, რისთვისაც საჭირო იყო ქართულში ადეკვატური სიტყვა-წარმოებითი საშუალებების მოძიება და გამოყენება“ (მელიქიშვილი 1999: 155). მთარგმნელებმა შექმნეს მარჯვე ყალიბები ტერმინთა საწარმოებლად, მაგ., *აუტო* ნაცვალსახელის მოდელის მიხედვით *თვით* ნაცვალსახელიანი შესატყვისი მოდელით გადმოცემა, რომელიც ასევე პროდუქტიულია დღესაც.

ამგვარად, შესაძლებელია, რომ ბერძნული ყალიბით ტერმინთა წარმოება ქართულ ენაში შუა საუკუნეებიდან იღებდეს სათავეს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენაში არსებობს გარდამავალი საფეხურის ენობრივი მოვლენები, როდესაც სიტყვა დროთა გან-

მავლობაში თანდათანობით კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას და დერივაციულ ან ფლექსიურ ნაწილად იქცევა. აფიქსოიდი თავისი განვითარების სწორედ გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს. ხაზგასასმელია აფიქსოიდის ორბუნებოვნება: წარმოშობით ისინი სრულმნიშვნელოვანი სიტყვები არიან, რომლებსაც არ დაუკარგავთ კავშირი ძირეულ სიტყვებთან, მაგრამ, ამავე დროს, ისინი აფიქსების ფუნქციასაც ითავსებენ, ანალოგიით ქმნიან ტერმინთა მოდელებს, რაც მათ სახელწოდებაშიც აისახება.

აფიქსოიდებით ხდება სხვადასხვა ცნების, საგნების, ცოცხალი ორგანიზმების, ნივთიერების, მასალის და ა. შ. სახელდება, ე.ი. სიტყვისათვის სემანტიკური მნიშვნელობის მინიჭება. აფიქსაციისას სიტყვის მნიშვნელობა იცვლება ერთი სიტყვის ფარგლებში (მაგ., *ავტომატი* → *ავტომატიანი*, *ავტომატური*...). უმეტეს შემთხვევაში აფიქსოიდების გაიგივება აფიქსებთან შესაძლებელია მხოლოდ ფუნქციური თვალსაზრისით: ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვათა რიგის ანალოგიით წარმოქმნა, რაც სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ძირის აფიქსად გარდაქმნის შუალედურ ეტაპზე მიუთითებს. აფიქსოიდებით სიტყვათა თუ ტერმინთა წარმოებისას ფაქტობრივად რთულ სიტყვას ვიღებთ, შედგენილობით ის ორ- ან მეტკომპონენტია. გარდა ამისა, რთული სიტყვები სემანტიკურად და სტრუქტურულადაც შესიტყვებებს უკავშირდება, კომპოზიტთა უმრავლესობა შეიძლება შესიტყვებებად დაიშალოს, აფიქსოიდიან ტერმინებს კი შესიტყვებებად ვერ დავშლით. ვფიქრობთ, აფიქსოიდებსა და აფიქსებს შორის სხვაობა შეიძლება ეს იყოს.

დასასრულ, მოკლედ შევეხებით აფიქსოიდიანი ტერმინების მართლწერის საკითხებსაც. სხვადასვა ლექსიკონში, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურასა თუ მასმედიის ენაში შეინიშნება აფიქსოიდიან ტერმინთა ორთოგრაფიული სიჭრელე. ისინი შეიძლება სხვადასხვაგვარი გაფორმებით შეგვხვდეს: დეფისით, ცალ-ცალკე, ან ერთად (*ავტო-პორტალი*, *ავტო აუქციონი*, *მიკროსესხი*)<sup>1</sup> მთავარი და ამოსავალი, რაც აფიქსოიდიან ტერმინთა დაწერილობას განსაზღვრავს, მათი ერთგვებიალობა, ერთმნიშვნელობიალობა; ქართული სალიტერატურო ნორმების თანახმად

<sup>1</sup> მასალა მოძიებულია Google-ის საძიებო სისტემით.

ერთცნებიანი კომპოზიტები, უმეტეს შემთხვევაში, ერთად იწერება. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა აფიქსიდიან ტერმინთა ერთ სიტყვად გაფორმება, კერძოდ, ასე: მეგატექნიკა, სუპერლიგა, ავტოპორტალი, მიკროავტობუსი, ავტოაუქციონი.

## ლიტერატურა

**მელიქიშვილი 1999** – დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან. თბილისი.

**ოსაძე 1988** – მ. ოსაძე, თვისების აღმნიშვნელ უცხო წარმომავლობის ტერმინთა მორფოლოგიური გაფორმების საკითხები ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

**ღამბაშიძე 1986** – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

**ყუფარაძე 1988** – მ. ყუფარაძე, anti- და противо- მორფემებით ნაწარმოებ რუსულ ტერმინთა შესატყვისები ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, ქსკს, VIII, თბილისი.

**Григорьев 1959** – Григорьев В.П., Интернациональные сложные слова. ჟ. ВЯ.

**Земская 1973** – Земская Е. А., Современный русский язык. Словообразование, Москва.

**Малинин 1973** – Малинин Б. А., Некоторые вопросы коллоквиального словообразования современного немецкого языка в свете теории экономии языковых средств, Пятигорск.

**Потиха 1979** – Потиха З. А., Современное русское словообразование, Москва.

**Степанова, Фляшер 1979** – Теоретические основы словообразования в немецком языке, Москва.

**Суперанская, Подольская, Васильева 2005** – Суперанская А. В., Подольская Н. В., Васильева Н. В., Общая терминология, Москва.

**Шанский 1959** – Шанский Н. М., Очерки по русскому словообразованию и лексикологии, Москва.

## ლექსიკონები

**ბიოლ. ტერმ. ლექს. 2006** – ბიოლოგიურ ტერმინთა მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, ლ. ბურდილაძე, თ. გამყრელიძე, „საქართველოს მაცნე“, თბილისი.

**ტექნ. ტერმ. 1982** – ტექნიკური ტერმინოლოგია, რ. დვალი, რ. ლამბაშიძე, „მეცნიერება“, თბილისი.

**სამედ. ტერმ. ლექს. 1988** – სამედიცინო ტერმინთა ქართულ-რუსულ-ლათინური მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, თ. დგებუაძე, ა. აბესაძე, „განათლება“, თბილისი.